

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გრატო სითი სენტერ

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
3.1. საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა.....	12
3.2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12
3.3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
3.4. იჯარა	12
3.5. ძირითადი საშუალებები	12
3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
3.7. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები	13
3.8. დამატებითი ღირებულების გადასახადი	14
3.9. მოგების გადასახადი	14
3.10. დივიდენდები.....	14
3.11. საწესდებო კაპიტალი.....	14
3.12. შემოსავალი	14
3.13. ხარჯები	15
4: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
5: ფული და ფულის ექვივალენტები	15
6: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	15
7: ძირითადი საშუალებები.....	16
8. რისკების მართვა	17
8.1. საბაზრო რისკი	17
8.2. ლიკვიდურობის რისკი	17
8.3. საკრედიტო რისკი.....	17
8.4. სავალუტო რისკი	18
9. საწარმოს უწყვეტობის განხილვა	18
10. სასამართლო დავები	18
11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
ამონაგები		2,091,756	2,265,686
პირდაპირი საოპერაციო ხარჯები	4	(184,130)	(186,595)
საოპერაციო მოგება		1,907,626	2,079,091
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(719)	(273)
ფინანსური ხარჯი		322	203
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - ნეტო		(397)	(70)
მოგება დაბეგვრამდე		1,908,023	2,079,161
მოგების გადასახადი		(325,411)	(293,271)
წლის მოგება		1,582,612	1,785,890
მთლიანი სრული შემოსავალი		1,582,612	1,785,890

დირექტორი
 გურამ ტორჩინავა

27 ივნისი, 2025 წელი
 თბილისი, საქართველო

7-14 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	შენიშვნები	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	2,065	41,748
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	462,806	739,231
მოკლევადიანი აქტივები		464,871	780,979
ძირითადი საშუალებები	7	993,602	981,758
გრძელვადიანი აქტივები		993,602	981,758
მთლიანი აქტივები		1,458,473	1,762,737
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		1,620,205	1,620,205
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,811,398	1,753,288
მიმდინარე მოგება		(1,582,612)	(1,785,890)
		1,391,419	1,652,807
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		840	1,534
საგადასახადო ვალდებულებები		66,215	108,396
მოკლევადიანი ვალდებულებები		67,055	109,930
მთლიანი ვალდებულებები		67,055	109,930
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,458,473	1,762,737

დირექტორი
 გურამ ტორჩინავა

27 ივნისი, 2025 წელი
 თბილისი, საქართველო

7-14 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს გრატო სითი სენთერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს გრატო სითი სენთერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2024 წელი ლარი	2023 წელი ლარი
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5	2,065	41,748
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	462,806	739,231
მოკლევადიანი აქტივები		464,871	780,979
ძირითადი საშუალებები	7	993,602	981,758
გრძელვადიანი აქტივები		993,602	981,758
მთლიანი აქტივები		1,458,473	1,762,737
მთლიანი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი		1,620,205	1,620,205
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,811,398	1,753,288
მიმდინარე მოგება		(1,582,612)	(1,785,890)
		1,391,419	1,652,807
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		840	1,534
საგადასახადო ვალდებულებები		66,215	108,396
მოკლევადიანი ვალდებულებები		67,055	109,930
მთლიანი ვალდებულებები		67,055	109,930
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,458,473	1,762,737

გ. ციხიშვილი

დირექტორი
 გურამ ტორშინაძე

27 ივნისი, 2025 წელი
 თბილისი, საქართველო



შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	1,620,205	(91,420)	1,528,785
წლის მოგება		1,785,890	1,785,890
გაცემული დივიდენდი		(1,661,868)	(1,661,868)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,620,205	32,602	1,652,807
წლის მოგება		1,582,612	1,582,612
გაცემული დივიდენდი		(1,844 000)	(1,844 000)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,620,205	(261,388)	1,391,419

დირექტორი
 გურამ ტორჩინავა

27 ივნისი, 2025 წელი
 თბილისი, საქართველო

7-14 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	1,620,205	(91,420)	1,528,785
წლის მოგება		1,785,890	1,785,890
გაცემული დივიდენდი		(1,661,868)	(1,661,868)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,620,205	32,602	1,652,807
წლის მოგება		1,582,612	1,582,612
გაცემული დივიდენდი		(1,844 000)	(1,844 000)
2024 წლის 31 დეკემბერი	1,620,205	(261,388)	1,391,419


 დირექტორი
 გურამ ტორჩინავა



27 ივნისი, 2025 წელი
 თბილისი, საქართველო

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 651 178	2 596 321
სხვა შემოსავალი	713	273
მიღებული ფულადი სახსრები	2 651 891	2 596 594
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(27 021)	(31 243)
თანხის დაბრუნება მყიდველებთან	-	(119 487)
გადახდილი ბიუჯეტის გადასახადები	(833 433)	(783 669)
ხელფასის გადახდა	(41 640)	(43 080)
გადახდილი ფულადი სახსრები	(902 094)	(977 479)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 749 797	1 619 115
დივიდენდის გადახდა	(1 751 800)	(1 578 775)
სხვა მცირეფასიანი ხარჯები	(510)	(666)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1 752 310)	(1 579 441)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(37 170)	-
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(37 170)	-
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	(39 683)	39 674
ფული წლის დასაწყისში	41 748	2 074
ფული წლის ბოლოს	2 065	41 748

დირექტორი
 გურამ ტორჩინავა

27 ივნისი, 2025 წელი
 თბილისი, საქართველო

7-14 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2 651 178	2 596 321
სხვა შემოსავალი	713	273
მიღებული ფულადი სახსრები	2 651 891	2 596 594
მოწოდებლებზე გადახდილი თანხები	(27 021)	(31 243)
თანხის დაბრუნება მყიდველებთან	-	(119 487)
გადახდილი ბიუჯეტის გადასახადები	(833 433)	(783 669)
ხელფასის გადახდა	(41 640)	(43 080)
გადახდილი ფულადი სახსრები	(902 094)	(977 479)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 749 797	1 619 115
დივიდენდის გადახდა	(1 751 800)	(1 578 775)
სხვა მცირეფასიანი ხარჯები	(510)	(666)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(1 752 310)	(1 579 441)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(37 170)	-
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(37 170)	-
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	(39 683)	39 674
ფული წლის დასაწყისში	41 748	2 074
ფული წლის ბოლოს	2 065	41 748

გ. ტაბაჩაძე
დირექტორი
გურამ ტორჩინაძე
27 ივნისი, 2025 წელი
თბილისი, საქართველო



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. კომპანია და ოპერაციები

შპს გრატო სითი სენტერ (209439213) („კომპანია“) დაარსდა 1998 წლის 6 ნოემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

- გურამ ტორჩინავა (01108068362) 60%-იანი წილით.
- ზაზა ბარნაბიშვილი (01009004517) 40%-იანი წილით.

წარმოდგენილი უფლებამოსილება ენიჭება დირექტორს - გურამ ტორჩინავას (01108068362). კომპანიის საქმიანობის ძირითად ბიზნეს მიმართულებას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება საოპერაციო იჯარით;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, №1ბ;

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 02/06/2008 წლიდან.

1.2. ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე.

3.2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება, აღიარა იგი შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში მის დარეზერვებას.

3.4. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ემატება საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავლის.

3.5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი ან ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომლებიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

**სასარგებლო გამოყენების
ვადა წლებში:**

შენობები	20
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5

საჭიროების შემთხვევაში, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და, თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.7. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები, პრემიები და არაფულადი სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება და სხვა) აღირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც შესაბამისი სერვისის მიღება მოხდება თანამშრომლების მიერ.

3.8. დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის ან მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე ზოგადად ამოღებადია გამომსვლელი დღე-ს მიმართ დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები დღე-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღე-ს ჩათვლით.

3.9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილი საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

3.10. დივიდენდები

კომპანია აღიარებს დამფუძნებლების წინაშე დივიდენდის ფულადი ან არაფულადი სახით განაწილების ვალდებულებას და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. არაფულადი განაცემები ფასდება გასანაწილებელი აქტივების საბაზრო ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობის თანხა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გასანაწილებელი აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება შემოსავლად მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდების შესაბამისად. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი.

3.12. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია როგორც პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებითა და ფასდათმობით.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

3.13. ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

4: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

	2024 ლარი	2023 ლარი
დასაქმებულთა ხელფასები	53,112	54,949
ცვეთის ხარჯი	98,676	97,263
კომუნალური ხარჯი	13 538	14 721
მომსახურების ხარჯები	6 742	6 742
საჯარო რეესტრის ხარჯი	-	240
საპენსიო ფონდის ხარჯი	1,062	1,099
ბანკის საკომისიო ხარჯი	511	666
საგადასახადო ხარჯი	10 489	10 915
სულ	184 130	186 595

5: ფული და ფულის ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

	2024 ლარი	2023 ლარი
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	2 065	41 748
სულ	2 065	41 748

6: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს:

	2024 ლარი	2023 ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (იჯარა)	459 593	735 407
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (კომუნალური ხარჯის კომპენსაცია)	1 332	1 668
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	1 881	2 156
სულ	462 806	739 231

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

7: ძირითადი საშუალებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	ავტო და სხვა ინვენტარი	სულ
საწყისი ღირებულება				
ბალანსი 31.12.2023	1,366	1,922, 671	6,143	1,930, 180
დანამატები	-	110, 520	-	110, 520
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	1,366	2,033, 191	6,143	2,040, 700
აკუმულირებული ცვეთა				
ბალანსი 31.12.2023	-	(943,338)	(5,084)	(948,422)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(98,041)	(635)	(98,676)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2024	-	(1,041,379)	(5,719)	(1,047, 098)
წმინდა ღირებულება				
ბალანსი 31.12.2023	1,366	979, 332	1,059	981, 758
ბალანსი 31.12.2024	1,366	991, 812	424	993, 602

8. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

8.1. საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

8.2. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს იმის რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

8.3. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის.

საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია არსებობის შემთხვევაში მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს. იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების გადახდაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზიანის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს.

შპს გრატო სითი სენტერ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

8.4. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. რადგან კომპანიას არ გააჩნია ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად სავალუტო სხვაობით წარმოქმნილ გავლენას ადგილი არ აქვს.

9. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

10. სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არანაირი ოპერაცია დაკავშირებულ მხარეებთან არ ჰქონია.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

„საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მიერ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 953,000 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა.

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 ივნისს.